სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის მიერ 2018 წლის ნოემბრიდან 2019 წლის ნოემბრამდე ჩატარებული ღონისძიებები:

2018 წლის 24- დეკემბერს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზში ჩატარდა ღონისძიება, ქართული ენისა და ლიტერატურის ერთი გაკვეთილი სცენაზე. /ხელმძღვანელი მარინე შანავა/

24 დეკემბერს, მოსწავლე ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა საბავშვო საახალწლო ღონისძიება.

26 დეკემბერი, სახელოვნებო განყოფილება - მიუზიკლი "საახალწლო მეჯლისი''

26 დეკემბერს- ქორეოგრაფიული ანსამბლი ''მამული'' წარმატებით გამოვიდა მცხეთაში გამართულ ფესტივალზე

27 დეკემბერს სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ანსამბლი ''ათინათი'' სოლისტები მონაწილეობას ღებულობდნენ ჩხოროწყუში გამართულ ქორეოგრაფიულ ანსამბლ ''მარდუქის'' საანგარიშო კონცერტზე, სადაც დიდი მოწონება დაიმსახურეს (ხელმძღვანელი თამარ მიქავა).

29 დეკემბერს სახელოვნებო განყოფილებამ ჩაატარდა კლასიკური მუსიკის, ვოკალისა და ფოლკლორის შემაჯამებელი კონცერტი.

31 დეკემბერს წალენჯიხის ცენტრალურ მოედანზე, ღია ცის ქვეშ გამართულ საახალწლო ღონისძიებაზე მონაწილეობას ღებულობდნენ და წარმატებით

გამოვიდნენ ქორეოგრაფილური ანსამბლი „მამული“, სამეჯლისო და სპორტული ცეკვების წრის აღსაზრდელები და ანსამბლ „ათინათის„ წევრები.

2019 წლის 23, 24 თებერვალს, მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა მოსწავლეთა 73-ე სასწავლო შემოქმედებითი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მუნიციპალიტეტის სხვადასხვა საჯარო სკოლის VIII-XII კლასის მოსწავლეებმა. ჟიურიმ შეარჩია საუკეთესო თემები, რომელიც გაიგზავნება თბილისის მოსწავლე-ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში.
მიმდინარე წლის 3 მარტს სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრმა ჩაატარა კაფე-საღამო სახელწოდებით "მრავალჟამიერ!" პირველი ნაწილი მიეძღვნა დედის დღეს და გაზაფხულის შემობრძანებას, მეორე ნაწილი დაეთმო ანსამბლ "ბედინერა"-ს სოლისტის, ასევე იუბილარის, ბ-ნ მურმან ქარდავასთვის საპატიო მოქალაქის წოდების მინიჭების ცერემონიალს, ხოლო მესამე ნაწილი- კონკურსებს მაგიდებს შორის, სადაც გამოვლინდნენ სხვადასხვა ნომინაციაში გამარჯვებულნი.
ა/წლის 3 მარტს ქ.თბილისში საქართველოს სამეჯლისო და სპორტული ცეკვების პროფესიონალთა ეროვნულმა საბჭომ მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩაატარა ტურნირი, STAY-STRANG, სადაც მონაწილეობას ღებულობდნენ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული

სამეჯლისო და სპორტული ცეკვების წრის მოსწავლეები (ხელმძღვანელი თემურ ჟვანია), სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიაში ჩვენმა მოსწავლეებმა მოიპოვეს I, II და III საპრიზო ადგილები.

5 მარტს სახელოვნებო განყოფილებამ ჩაატარა ნორჩ პიანისტთა კონკურსი

24 მარტს ქალაქ ზუგდიდში ჩატარდა სამეჯლისო და სპორტული ცეკვების კონკურსი ,, კოლხეთი- 2019', სადაც მონაწილეობა მიიღეს წალენჯიხის სახელოვნებო -საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული სამეჯლისო წრის აღსაზრდელებმა. სხვადასხვა ასაკობრივ კატეგორიებში ჩვენმა მოსწავლეებმა მოიპოვეს პირველი, მეორე და მესამე ადგილები (ხელმძღვანელი თემურ ჟვანია.)

24 მარტს ქ.ზუგდიდში, ზუგდიდის ხელოვნებისა და კულტურის განვითარების ცენტრმა ჩაატარა რეზო ბულიას სახელობის მესამე ქორეოგრაფიული ხელოვნების ფეტივალი, სადაც წარმატებით გამოვიდა სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "მამული" და დაჯილდოვდა მედლით და დიპლომით. (ხელმღვანელი ნიკოლოზ თორია)

5 აპრილს, ქ. წალენჯიხის კინო-თეატრში სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის დაფინანსებით ჩატარდა საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი „ეტალონი“ , სადაც მონაწილეობა მიიღო სახელოვნებო-

საგანმანათლებლო ცენტრთან არსებულმა ხალხურ საკრავთა ორკესტრმა ''თუთა''. (ხელმძღვანელი დათო გირგვლიანი)

9 აპრილს, ''9 აპრილის სკვერში'' ჩატარებულ ღონისძიებაზე მონაწილეობდნენ სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრის მხატვრული კითხვის წრის მოსწავლეებმა (ხელმძღვანელი სოფო კვარაცხელია)

15 აპრილს, სახელოვნებო განყოფილებამ ამავე განყოფილების საკონცერტო დარბაზში ჩაატარა დედა-ენისა და სიყვარულის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიება ,,მხოლოდ შენ ერთს!''

16 აპრილს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა დედა ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება ''ო, ენავ ჩემო!'' , ღონისძიებაში, რომელიც მხატვრულ კითხვაში კონკურსის ხასიათს ატარებდა, მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეები ერთი ლექსით, ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებული მოსწავლეები, რომლებიც დაჯილდოვდნენ დიპლომებით. ამავე დღეს ჩატარდა კონკურსი სახელწოდებით''თავისუფალი თემა'', წერა მიმდინარეობდა ადგილზე და მასში 16 -მა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა, საუკეთესო თემების ავტორებს გადაეცათ დიპლომები, ყველა მონაწილეს კი სიგელი. (1 ივნისს ბავშვთა დაცვის დღეს).

10 მაისი-წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ლიის ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,იმედი" მონაწილეობას ღებულობდა ძმები მოსიების სახელობის ფესტივალზე, სადაც დაჯილდოვდნენ დიპლომებით

18 მაისს, კულტურის ცენტრის ორგანიზებით ეროვნული სამოსის დღე აღინიშნა წალენჯიხაში, სადაც მონაწილეობა მიიღეს სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებლმა ანსამბლმა "ათინათი" (ხელმძღვანელი თამარ მიქავა) და ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა "იმედი" (ხელმძღვანელი ნონა ბაღიშვილი). ასევე გამოფენილი იყო თექის წრის მოსწავლეთა ნამუშევრები (ხელმძღვანელი ელენე ნაჭყებია)

26 მაისი- საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით სახელოვნებო-საგნმანათლებლო ცენტრმა ნიკოლოზ შენგელაიას სახელობის კინო-თეატრის დარბაზში წარმოადგინა ვიდეო-კოლაჟი "დიდება თავისუფლებას", ასევე მხატვრული კითხვის წრის მოსწავლეთა მიერ წარმოდგენილ იქნა მონო-სპექტაკლი "გასწით, ლურჯა ცხენებო!" (ხელმძღვანელი მარინე შანავა).

31 მაისს სახელოვნებო განყოფილებამ ჩაატარა საღამო-კონკურსი "ძველი ქართული კინო მუსიკა", სახელოვნებო განყოფილების მოსწავლეებმა შეასრულეს

სიმღერები ძველი ქართული კინო ფილმებიდან, რომლის ეკრანიზაციაც ხდებოდა დარბაზში, ხოლო კონკურსში მონაწილე სტუმრებს უნდა გამოეცნოთ ფილმის სახელწოდება, რეჟისორი და მსახიობი, რომელიც ასრულებდა ამა თუ იმ სიმღერას. კონკურსის დასასრულს ჟიურიმ გამოავლინა გამარჯვებულები, რომელთაც გადაეცათ სამახსოვრო საჩუქრები.

მიმდინარე წლის 1 ივნისს, საგანმანათლებლო განყოფილებამ ჩაატარა კონცერტი, რომელიც მიეძღვა ბავშვთა დაცვის დღეს და სასწავლო-შემოქმედებით კონფერენციაზე, ასევე დედა ენისა და სიყვარულის დღისადმი მიძღვნილ კონკურსში გამარჯვებულ მოსწავლეებს. დაჯილდოების ცერემონიალი გაიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში. გამარჯვებულებს გადაეცათ დიპლომები, ხოლო ყველა მონაწილეს სიგელი. დიპლომებით დაჯილდოვდნენ აგრეთვე მხატვრული კითხვის წრის მოსწავლეებიც. (ხელმძღვანელი მარინე შანავა) სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრმა გამარჯვებულებს დაუფინანა ექსკურსია აკაკი წერეთლის სახლ მუზეუმში. ბავშვთა დაცვის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ჩატარდა ქალაქის ცენტრალურ მოედანზეც, გუგე ცანავას სახელობის პარკში გამოიფინა თექის წრის მოსწავლეთა ნამუშევრები (პადაგოგი ელენე ნაჭყებია).

მიმდინარე წლის 3 ივნისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა პატარა ვოკალისტების საანგარიშო კონცერტი. (პედაგოგი თეონა ბელქანია)
მიმდინარე წლის 12 ივნისს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩატარდა ღონისძიება, გაკვეთილი სცენაზე-"ჩვენ ვკითხულობთ ვეფხისტყაოსანს", (ხელმძღვანელი მარინე შანავა), საღამო გაალამაზა ფოლკლორულმა ჯგუფმა "მამული" (ხელმძღვანელი ბექა ზარქუა)

მიმდინარე წლის 13-ივნისს ქ.თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნულ სასახლეში გაიმართა ქართული ფოლკლორული მუსიკის ფესტივალი ,,თაობა" , სადაც სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებულმა ბიჭუნათა ფოლკლორულმა ანსამბლმა ,,ლაკადა" წლის საუკეთესო კოლექტივის ტიტული მოიპოვა. (ხელმძღვანელი მურთაზ ციმინტია). ფესტივალს აფასებდა სპეციალური ჟიური თემურ ქევხიშვილის თავმჯდომარეობით.

19 ივნისს სახელოვნებო განყოფილებამ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩაატარა საანგარიშო კონცერტი

24 ივნისს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერმა ბ-მა ბესიკ ფარცვანიამ ანსამბლ "ლაკადას" ხელმძღვანელს ბ-ნ მურთაზ ციმინტიას და ანსამბლის წევრებს მიულოცა მიღწეული წარმატება და მადლობის სიგელები გადასცა მათ.

26 ივნისს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ლიის ქორეოგრაფიული ანსამბლი ,,იმედი".მონაწილეობას ღებულობდა ქობულეთში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ,,ჰარირა", სადაც მოიპოვა მეორე ადგილი (ხელმძღვანელი ნონა ბაღიშვილი).

26 ივნისს ვოკალურ ანსამბლ ''ათინათის'' სოლისტმა ანი ხარჩილავა ბათუმში გამართულ ფესტივალზე მოიპოვა I ადგილი
ნომინაციაში: ,,საუკეთესო შესრულება" reality star-ის სპეციალური პრიზი და მოწვევა ვილნიუსში საერთაშორისო კონკურსზე (პედაგოგი თამარ მიქავა)

28 ივნისს ანსამბლი ''იმედი'' ასევე წარმატებით გამოვიდა ანაკლიაში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე ''არტ-კოლხი'' და დაჯილდოვდა დიპლომით (ხელმძღვანელი ნონა ბაღიშვილი)

მიმდინარე წლის 28 ივნისს ქ.ბათუმში ჩატარდა ნინო რამიშვილის 110 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო, სადაც მონაწილეობას ღებულობდა სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "მამული ", ანსამბლმა

დიდი მოწონება დაიმსახურა და მოიპოვა მესამე ადგილი. (ხელ;მძღვანელი ნიკოლოზ თორია).

27 სექტემბერს სოხუმის დაცემის დღესთან დაკავშირებით, სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრმა მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში ჩაატარა საღამო "კუთხე არა, სიყვარული გქვია!" (ხელმძღვანელი სოფო-თეო კვარაცხელია)

11 ოქტომბერს, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო საგანმანათლებლო ცენტრისა და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის რესურს ცენტრის ორგანიზებით, მიმდინარე წლის წალენჯიხის ნიკოლოზ შენგელაიას სახელობის კინო თეატრის დარბაზში ჩატარდა თბილისის ეროვნული სასახლის გოგონათა ლეგენდარულ ანსამბლ ,,მზიური"-ს კონცერტი, რომელიც მიეძღვნა პედაგოგის საერთაშორისო დღეს.

15 ოქტომბერს წალენჯიხის კინო-თეატრის დარბაზში კულტურის ცენტრის ორგანიზებით ჩატარდა კულტურის დამსახურებული მოღვაწის ქალბატონ გოგოლა მესხიას საღამო, სადაც კულტურის ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლებთან ერთად მონაწილეობას ღებულობდნენ სახელოვნებო განყოფილების პედაგოგები და მოსწავლეები, ასევე სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი "მამული" (ხელმძღვანელი ნიკოლოზ თორია).